

**სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში  
ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამის ტექსტის წინასწარი შეთანხმების წესი**

**მიზანი**

საქართველოს ბაზარზე დაშვებული ეფექტიანი, უსაფრთხო და ხარისხიანი ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენების რეკლამა მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებით, რომლის მიზანია მოსახელობის ჯანმრთელობის დაცვა.

**სააგენტოში წარსადგენი დოკუმენტაცია**

დაინტერესებული პირის მიერ, სააგენტოში შემოსულ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განაცხადის ფორმა (დანართი №2);
2. ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამის ნიმუში, დადგენილი წესის შესაბამისად. დაუშვებელია რეკლამის ნიმუში შეიცავდეს კომერციული ხასიათის ინფორმაციას.
3. პრეპარატის გამოყენების ინსტრუქცია - დამტკიცებული სააგენტოს მიერ.

**კანონმდებლობა**

ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამის ტექსტის წინასწარი შეთანხმება სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში ხორციელდება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11<sup>3</sup> მუხლის და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად.